



მცხეთა - მთიანეთის
საინფორმაციო
ცენტრი



18.12.2012 16:17

- [მთავარი](#)
- [ახალი ამბები](#)
 - [პოლიტიკა](#)
 - [საზოგადოება](#)
 - [ადამიანის უფლებები](#)
 - [განათლება](#)
 - [ეკოლოგია](#)
 - [კულტურა](#)
 - [ეკონომიკა](#)
 - [ტექნოლოგიები](#)
 - [სპორტი](#)
- [სტატიები](#)
- [მულტიმედია](#)
- [კონფლიქტის ზონა](#)
- [მედია](#)
- [არქივი](#)
- [კონტაქტი](#)

[მთავარი](#) » [ახალი ამბები](#) » ჰესების მშენებლობის თემაზე „მწვანე ალტერნატივა“ საჯარო დისკუსიას გამართავს

ჰესების მშენებლობის თემაზე „მწვანე ალტერნატივა“ საჯარო დისკუსიას გამართავს

2012.12.17 | 15:30

Like

2 people like this. Be the first of your friends.

0

Tweet 0

Share



18 დეკემბერს, თბილისში, სასტუმროში „ვერე პალასი“, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ საჯარო დისკუსიას გამართავს თემაზე: დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურები საქართველოში - პრაქტიკა და გამოწვევები. დისკუსია 11:00 საათზე დაიწყება.

„საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას ქვეყანაში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება წარმოადგენს. ამჟამად დადებულია 40-ზე მეტი ურთიერთგაგების მემორანდუმი და შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ქართულ ან უცხოურ კომპანიებს შორის მცირე, საშუალო და დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პროექტებზე. ჰიდროელექტროსადგურების ნაწილის მშენებლობა უკვე დაწყებულია, ნაწილი კი, დაგეგმვის ეტაპზეა. მშენებარე თუ დაგეგმილი ჰესების ნაწილი დერივაციული ტიპისაა, რაც ხშირად, ჰესების დაგეგმვისა და განხორციელების ნაკლოვანებების ფონზე, ქმნის მნიშვნელოვან გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის რისკებს. დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მეცნიერები და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე ექსპერტები“, – ნათქვამია „მწვანე ალტერნატივას“ მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

შეხვედრა ღიაა ყველა დაინტერესებული პირისთვის.

Like 2 people like this. Be the first of your friends.

0
Tweet 0